

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი დემეტრაშვილის მიერ განუული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

მიმდინარე ანგარიში მოიცავს პერიოდს გასული 2014 წლის 1 აგვისტოდან, ანუ უფლაბამოსილების ცნობიდან ერთი წლის განმავლობაში. აღნიშნულ პერიოდში მოხდა უშუალო შეხვედრები თემის ყველა სოფლის მოსახლეობასთან. სოფელ მღვიმევის მოსახლეობასთან, სოფ.ხალიფაურის მოსახლეობასთან, სოფ. წირქვალის მოსახლეობასთან, სოფ.ქვედა ჭალოვანის მოსახლეობასთან. ამ შეხვედრებზე წამოიჭრა მრავალი საკითხები. ძირითადად ინდივიდუალურ პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტის პროცესში ჩავერთე. უშუალოდ დავეხმარე კონკრეტულ პიროვნებებს ღოკუმენტაციის სწორედ შედგენასა და აღრესატებამდე კანონიერების სრული დაცვით წარდგენაში. (მაგ. მკურნალობა,მედიკამენტები, სოც.სამსახურის მიერ შემოწმება, ოთხი ინვალიდის ეტლი და ა.შ.)

შეხვედრებზე გამოიკვეთა შედარებით სერიოზული საკითხებიც:

ასეთები იყო:

1. სოფ. მღვიმევი გზის მობეტონება.
2. სოფ. წირქვალში საუბნო გზების რეაბილიტაცია (მიროტაძეების უბანი).
3. სოფ. ქვ.ჭალოვანი მაჭარაშვილების უბანი) გზის მოხრეშვა. (ხვედელიძეების უბანი) ასევე გზის მოხრეშვა.
4. სოფ.წირქვალის ჭალოვანის მიმართულებით ორ კილომეტრიანი გზის მობეტონება ასფალტით.
5. სოფ.მღვიმევი მწვავედ იდგა საკითხი წყალმომარაგების შესახებ, მივმართე ჯორჯიანმანგანებს წერილობით რის შედეგადაც დაიდგა ტუმბო და ეს პრობლემა ძირითადად მოხსნილია.
6. სოფლის პროგრამით 2015 წლის ბოლომდე დაიხურება სოფ.წირქვალში სარიტუალო დარბაზი, აგრეთვე გარემონტდა სოფ.წირქვალის და სოფ.მღვიმევის ტერიტორიაზე ორივე ბაღი.

აქტიურად ვარ ჩართული, რათა 2016-2017 წლების პროექტების ჩამონათვალში ჩაისვას სოფლების წირქვალის, მღვიმევი, ხალიფაურის, ქვ.ჭალოვანის საუბნო გზებებს მობეტონება - რეაბილიტაცია.

აგრეთვე ვარ კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე. ჩემს ძირითად ფუნქციებში შედის განათლების, კულტურის, სპორტის კუთხით გეგმიური და მიმდინარე საკითხების განხილვა კომისიური წესით, მათზე შესაბამისი დასკვნების მომზადება და საკრებულოს ბიუროსა და სესიაზე წარდგენა, რასაც ვაკეთებ ყოველგვარი წესის დაცვით.